ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲦᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 150 (19891) ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 30 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 1987 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ, ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲡᲔᲡᲘᲐᲛ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ.

ᲡᲐᲥᲓᲔᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲢᲝ.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢ Ნ. Ი. ᲠᲘᲟᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ მეურნეობის მართვის ძირეული გარდაქმნა, თქვა ნ. ი. რიჟკოვმა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის, საბჭოთა საზოგადოების ყველა სფეროს თვისებრივი განახლებისათვის გამიზნული პარტიის XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული სტრატეგიული კურსის განხორციელების უმთავრესი ამოცანაა. მართვის გარდაქმნის პოლიტიკური გეზის შემუშავებათა, სამეურნეო მექანიზმის რადიკალური რეფორმის თეორიულ დასაბუთებაში, მოქმედების კონკრეტული პროგრამის განსაზღვრაში უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნის ამ დღეებში გამართულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მიერ პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში მარქსისტულ-ლენინურად არის გაანალიზებული დღეს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები, მკაფიოდ და დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ საჭიროა ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნების დაჩქარება, სოციალიზმის შესაძლებლობათა უფრო სრული გამოყენება. შეჯამდა მართვის მთლიანი სისტემის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლების შექმნისათვის გაწეული უდიდესი მუშაობის შედეგი. პლენუმის ღრმა აზრი, დასკვნებისა და დებულებების არსია მართვის დემოკრატიზაციის, როგორც ქვეყნის სახალხო მეურნეობის დინამიკური განვითარების გადამწყვეტი პირობის, ყოველმხრივი დასაბუთება.

ახლა თითოეული მშრომელის წინაშე, მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე დასახულია კეთილშობილური მიზანი — პრაქტიკულად შეასხან ხორცი სოციალისტური მშენებლობის გარდაქმნის თეორიას.

I. ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲐ

ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲢᲣᲚ-ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ თეორია, სოციალისტური მშენებლობის მთელი გამოცდილება მოწმობს, რომ სოციალურ-ეკონომიკური პროგრესისათვის საჭიროა გვქონდეს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის მოქნილი და ეფექტიანი სისტემა, რომელიც შეესაბამება წარმოების ობიექტურ პირობებს, საწარმოო ძალების მიღწეულ დონეს.

ახლანდელი სისტემა უკვე ვეღარ აკმაყოფილებს ასეთ მოთხოვნებს. უკანასკნელ დრამდე მოქმედი მართვის ფორმები და მეთოდები ძირითადად შეიქმნა ოცდაათიან წლებში და განსაზღვრა სახალხო მეურნეობის განვითარების ამ სპეციფიკურმა პირობებმა და ამოცანებმა, რომელსაც იმ პერიოდში წყვეტდა საბჭოთა სახელმწიფო. მას შემდეგ, ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ძვრების მიუხედავად, არ ხორციელდებოდა მართვის სისტემის შეცვლის კარდინალური ღონისძიებანი. იგი აფერხებდა ჩვენს წინსვლას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ დაიწყო ეკონომიკის ბევრი უმწვავესი და ურთულესი პრობლემის გადაწყვეტის დიდი ღონისძიებების გეგმაზომიერი განხორციელება, რომელთა გადაწყვეტას ათეული წლების მანძილზე გადადებდნენ ხოლმე. შემუშავებულია და ხორცს ისხამს სტრუქტურულ-საინვესტიციო და მეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის ახალი პრინციპები. გაძლიერდა სოციალური სფეროს განვითარებაზე მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების ორიენტაცია.

სახალხო მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების სირთულემ და სიახლემ, მისმა უდიდესმა მასშტაბმა მრავალმხრივი ეკონომიკური ექსპერიმენტები მოითხოვა. ისინი გახდა რეალური საფუძველი იმისათვის, რომ საწარმოები გადაგვყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე, საშუალება მოგვცა შეგვძინა საჭირო გამოცდილება, ყოველმხრივ გაგვეზრდინა გარდაქმნის შემდგომი პროგრამა, უზრუნველგვეყო სამედო ბაზა საწარმოთა საქმიანობის ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლების შემუშავებისათვის და მოგვემზადებინა სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი, მჭიდროდ მივახლოებოდით სახალხო მეურნეობის მართვის მთლიანი სისტემის შექმნას.

წარსულის გამოცდილება გვარწმუნებს, რომ სამეურნეო მექანიზმის სერიოზული გაუმჯობესება შეუძლებელია ცალკეული ცვლილებებით. საჭიროა კარდინალური, კომპლექსური რეფორმა. მხოლოდ მაშინ შეგვძლია ვიქონიოთ მართვის სისტემის თვისებრივი განახლების იმედი, მხოლოდ მაშინ გავხდით მას ნამდვილად მთლიანსა და ეფექტიანს. სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის სისტემამ მთლიანად უნდა გამოიყენოს სოციალიზმის უპირატესობანი, მისთვის ობიექტურად დამახასიათებელი გეგმიანობა, ეყრდნობოდეს ადამიანის ფაქტორის — პროგრესის მთავარი შემოქმედი ძალის ყოველმხრივ გააქტიურებას.

ცხოვრებამ ცხადყო, რომ მართვის სრულყოფა, უწინარეს ყოველისა, დაკავშირებულია დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპის აღდგენასთან და შემოქმედებითს განვითარებასთან. წარსულში მისმა დამახინჯებამ ფაქტობრივად გაწყვიტა ორგანული კავშირი მასში არსებულ ორ საწყისს შორის, მათი ერთიანობა, არსებითად დემოკრატიზმი თითქოსდა მთლიანად გადათელა ცენტრალიზმმა. გარდაქმნის დროს ეს ერთიანობა უნდა აღვადგინოთ. დემოკრატიული ცენტრალიზმის გაგების სწორედ ასეთი ჭეშმარიტად ლენინური პოზიციებიდან, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, მიუდგა პარტია მართვის თვისებრივად ახალი მთლიანი სისტემის შექმნას. როგორია მთლიანი სისტემის ყველაზე დამახასიათებელი ნიშნები?

ჯერ ერთი, ეს არის პირადი და კოლექტიური ინტერესების ორგანული შეხამება საერთო-სახალხო ინტერესებთან, საზოგადებრივი წარმოების ყველა მონაწილის შეწყობილი მოქმედების მიღწევა. ტექნიკა — საწარმო — საზოგადების ინტერესების შეხამება საშუალებას გვაძლევს ავიდეთ სოციალისტური საკუთრების ურთიერთობის რეალიზაციის უფრო მაღალ საფეხურზე, გავზარდოთ ყველა შრომითი კოლექტივის, ყველა საბჭოთა ადამიანის დაინტერესება სახალხო დოვლათის გამრავლებით.

მეორე, მართვის მთლიანი სისტემის ცენტრში დგება საწარმო, მისი ეფექტიანი მუშაობისათვის, სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების დანერგვისათვის ყველაზე ხელშემწყობი ეკონომიკური პირობების შექმნა. შრომითი კოლექტივებისათვის სავალდებულო ძალას იძენს პრინციპი — საწარმოო სოციალური განვითარებისა და მატერიალური სტიმულირებისათვის სახსრები უნდა გამოვიმუშაოთ.

მესამე, მართვის მთლიანი სისტემა სქემით უნდა უზრუნველყოფდეს მეურნეობრიობის მექანიზმის უმნიშვნელოვანესი ელემენტების — დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირების, ორგანიზაციული სტრუქტურების მჭიდრო ურთიერთმოქმედებას. ეფექტიანად, ზუსტად, შეთანხმებულად, ურთიერთდახმარებით მოქმედებას ისინი შეძლებენ მხოლოდ კომპლექსურად და ცენტრალიზებული და დემოკრატიული საწყისების სწორი შეხამების პირობებში.

მეოთხე, მართვის ახალი სისტემა ითვალისწინებს დარგისა და ტერიტორიის ორგანულ ურთიერთკავშირს, აერთიანებს მათ ინტერესებს საწარმოო და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში, ინფრასტრუქტურის განვითარებაში, გარემოს დაცვაში.

შეხუთე, მართვის მთლიანი სისტემის პრინციპები რეალიზდება ყველა დონეზე — საწარმოებიდან სამინისტროებამდე, ცენტრალური ეკონომიკური ორგანოებიდან მთავრობამდე — მართვის თითოეული

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.).

* ᲛᲝᲮᲡᲜᲔᲑᲐ ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲝᲙᲚᲔᲑᲘᲗ.

მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა რ. მუგაბეს

27 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ზიმბაბვეს აფრიკელთა ეროვნული კავშირის — პატრიოტული ფრონტის პარტიის პრეზიდენტსა და პირველ მდივანს, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს რ. მუგაბეს, რომელიც როგორც მოუმხრობლობის მოძრაობის თავმჯდომარე, მოსკოვში გამართული ქალთა მსოფლიო კონგრესის სპატიო სტუმარი იყო.

საუბრის დროს გამოითქვა კმაყოფილება ორმხრივი ურთიერთობის გამო, რომელიც კიდევ უფრო ინტენსიური და მეგობრული გახდა 1985 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირში რ. მუგაბეს ვიზიტის შემდეგ. ვითარდება კონტაქტი პარტიებს შორის, ისახება ეკონომიკასა და სხვა დარგებში თანამშრომლობის სრულყოფის გზები.

საბჭოთა კავშირი, ხაზგასმით თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, ისეთი პრინციპების ერთგულია, როგორიცაა თანასწორობა, ურთიერთნელსაყრელობა და დამოუკიდებლობა, ხალხის მიერ არჩეული განვითარების გზის პატივისცემა. ეს პრინციპები სრულად ისახამენ ზრარკსა ზმბაბვესთან სსრ კავშირის ურთიერთობაშიც. ყველაფერი მოწმობს, რომ ჩვენს თანამშრომლობას კარგი პერსპექტივა აქვს.

საერთაშორისო საქმეებს რომ შეეხო, რ. მუგაბეკ აღნიშნა, რომ აფრიკის სამხრეთში კვლავ დაძაბული და საშიში ვითარებაა. ეს გამოწვეულია იმით, რომ აპარტეიდის რეჟიმი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აძლიერებს რეპრესიებს ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობის წინააღმდეგ, ახორციელებს „ფრონტისპირა სახელმწიფოების“ დესტაბილიზაციის სტრატეგიულ კურსს, ანდენს მათზე შეიარაღებულ ზემოქმედებას და ერევა მათ საშინაო საქმეებში.

მ. ს. გორბაჩოვმა დაგმო ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა ქვეყნების მოქმედება, რომლებიც ბურგს უმაგრებენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტულ რეჟიმს. ისინი მის შენარჩუნებას ცდილობენ იმისათვის, რომ კვლავაც თავიანთ კონტროლში იყოლიონ აფრიკელი ხალხები, გამოიყენონ მათი სიმდიდრე თავიანთი ინტერესებისათვის. საბჭოთა კავშირი ეურყევად უჭერს მხარს „ფრონტისპირა სახელმწიფოებისა“ და აფრიკის სხვა ქვეყნების ხალხებს, რომლებიც დამოუკიდებელი, პროგრესული განვითარების გზას დაადგნენ.

რ. მუგაბე შეეხო მოუმხრობლობის მოძრაობის საქმიანობის ზოგიერთ აქტუალურ საკითხს. მოძრაობა ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს მსოფლიოს ხალხების წინაშე სადღეისოდ მდგომი ისეთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტაში, როგორიცაა გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და განიარაღება, პოლიტიკური მოწესრიგება ცენტრალურ ამერიკასა და ახლო აღმოსავლეთში, ირან-ერაყის ომის შეწყვეტა და ახალი ეკონომიკური წესის დამყარება.

მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ მოუმხრობლობის მოძრაობა მსოფლიო პოლიტიკის დიდმნიშვნელოვანი და პოზიტიური ფაქტორია. საბჭოთა კავშირი მიესალმება ამას და მუდამ ითვალისწინებს თავის საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობაში განვითარებადი ქვეყნების კანონიერ ინტერესებს. რაც შეეხება მსოფლიო ეკონომიკურ კავშირურთიერთობას, ცხადია, არავინ არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ მოშლოს იგი. მაგრამ შეიძლება და საჭიროც არის მისი ხასიათის შეცვლა სამართლიან საფუძველზე. საკითხის ასეთი დაყენება სავსებით კანონზომიერია. უსამართლოა, როცა წამყვანი კაპიტალისტური სახელმწიფოები ცდილობენ თავიანთი ცხოვრების ძაღალი დონის უზრუნველყოფას განვითარებად ქვეყნებთან არაეკვივალენტური აღებ-მიცემობის ხარჯზე.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის მიდგომას გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების საკითხებისადმი, იგი კარგად არის ცნობილი. ჩვენ რეიკიავიკში დაწყებული პროცესის განვითარების მომხრენი ვართ. მხარს ვუჭერთ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული შეტევითი იარაღის კარდინალურ შემცირებას რაკეტასაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების დაცვისა და კოსმოსის არამილიტარიზაციის პირობით. ამას ხელს უშლის ამერიკის ადმინისტრაციის მოქმედება, რომელიც სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის განხორციელების მეშვეობით სამხედრო უპირატესობის მოპოვებას იმედოვნებს. ეს ილუზიური და საშიში გეგმებია.

საშუალო საშორის რაკეტებისადმი მიძღვნილი ახლანდელი მოლაპარაკების მიმდინარეობამ ცხადყო, რომ არც შეერთებულ შტატებს და არც მის ზოგიერთ ნატოელ მოკავშირეს „ნულოვანი გადაწყვეტილებისადმი“ ერთგულების საქმეყნოდ გამოცხადების მიუხედავად, სერიოზულად არ უფიქრიათ ამაზე. სწორედ ამით აიხსნება სხვადასხვა სახის დაბრკოლება, რომლებსაც ისინი უქმნიან საკითხის გადაწყვეტას. მიუხედავად ამისა, მაინც არის მორგების მიღწევის შესაძლებლობა. საბჭოთა კავშირი საამისოდ ყველაფერს ღონობს, რაც კი შეუძლია.

მსოფლიოში, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგობის მიუხედავად, სულ უფრო მეტ ფიფოდ ვლინდება განიარაღების ტენდენცია. იგი ძლიერდება და მტკიცდება. მშვიდობის დასაცავად იღებენ სოციალიზმის ქვეყნები, მუშამრობლობის მოძრაობა, თანამედროვეობის მთელი პროგრესული ძალები. თვით კაპიტალისტურ სახელმწიფოებშიც სულ უფრო მეტად ესმით, რომ განიარაღება აქტუალური სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტას უკავშირდება. ერთი სიტყვით, მსოფლიოში არიან ძალები, რომლებსაც შეუძლიათ მსოფლიო ასპარეზზე შემობრუნონ მოვლენათა განვითარება განიარაღებისა და დაძაბულობის შენელებისაკენ.

შეხვედრამ ურთიერთგაგებისა და ნდობის ატმოსფეროში ჩაიარა; მან დაადასტურა, რომ ერთმანეთს ემოხვევა მათი შეხედულებები და მიდგომა ყველა განხილული საკითხისადმი.

მ. ს. გორბაჩოვმა ზიმბაბვეელ ხალხს წარმატება და აყვავება უსურვა. (ᲢᲐᲡᲙᲘᲜᲘ).

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ ᲘᲮᲝᲜᲔᲑᲡ

ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲐᲕᲣᲦᲧᲝᲗ ᲓᲠᲝᲡ

ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐ დროის გამოწვევის ისტორიული პასუხია. სწორედ ასე განსაზღვრა საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების არსი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმმა. განიხილა რა მისი ერთ-ერთი კარდინალური საკითხი — ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმის, სამეურნეო მექანიზმის სისტემაში თვისებრივ ცვლილებათა საკითხი, პლენუმმა დასახა მოქმედების კონკრეტული, საქმიანი პროგრამა, პრინციპული შეფასება მისცა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებს.

საქართველოს მშრომელებმა დიდი კმაყოფილებით აღიქვეს დებულებანი და დასკვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია მ. ს. გორბაჩოვის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში. ეს დებულებანი და დასკვნები მუშაობის ზუსტი ორიენტირი, დაჩქარების მძლავრი იმპულსია.

ᲡᲐᲥᲛᲘᲗ ᲓᲐᲕᲣᲭᲘᲠᲝᲗ ᲛᲫᲐᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲡ

ᲡᲙᲙᲞ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მასალებში სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს შუშაობა მკაცრად, მაგრამ სავსებით სამართლიანად გააკრიტიკეს. ამ უმნიშვნელოვანესი სამინისტროს ხელმძღვანელთა აზროვნების მოდუნებას, ისეთი ცხადი ჭეშმარიტების ჯეროვან შეუფასებლობას, რომ დღეს არ შეიძლება მუშაობა მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე დაუყრდნობლად, მოჰყვა ის, რომ ჩვენი ქარხანაც მრავალი წლის მანძილზე ჩამორჩებოდა, მორალურადაც მოძველდა და ფიზიკურადაც.

მაგრამ გარდაქმნის დრო დანეჯითებით გვიკარნახებს მუშაობის სხვა სტილს, ცვლილებების სხვა ტემპს. როგორც იქნა, მოვიდა სასიხარულო ცნობა, რომელსაც მრავალი წელი ველოდით: გადაწყდა ჩვენს საწარმოში აშენდეს ნამზადების უწყვეტი ჩამოსხმის თანამედროვე ელექტროფოლადსადნობი წარმოება. მის მნიშვნელობას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ საწარმოს წელიწადში 150 მილიონ მანეთზე მეტი წმინდა მოგება ექნება.

მაგრამ რამდენი ქაღალდი, საჯერიების ზემოქმედებისადმი ბოსტნეულის იმუნიტეტის გაძლიერების მარტივი მეთოდი. ამისათვის საკმარისი აღმოჩნდა ლაზერის დიდტემპერატურიანი სინათლის სხივით ხილბოსტნეულის რამდენიმე წამით დასხივება.

მალე ასეთი დანადგარები ამოქმედდება საქართველოს უდიდეს ლილოს ხილ-ბოსტნეულის ბაზაში. გამომანგარიშებულია, რომ ბაზაში მოთავსებული ბოსტნეულის მხოლოდ ერთი პროცენტის დაცვა გაფუჭებისაგან ხელს შეუწყობს სულ ცოტა 100 ათასი მანეთის სასურსათო პროდუქციის რეალიზაციას. უკეთესი დაცვა-შენახვის გზით ქალაქელები მიიღებენ მრავალ ტონა კარტოფილს, ხახვს, ნიორს, რომლებსაც ჯერჯერობით ისინი ცეცხლის ფასად ყიდულობენ ბაზარში.

ლ. ᲑᲔᲠᲔᲫᲘᲐᲜᲘ,

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ᲙᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲙᲐᲠ�გᲝᲗ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲓᲐᲕᲖᲝᲒᲝᲗ

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების, ტრანსპორტირებისა და დაცვა-შენახვის პრობლემებს ივნისის პლენუმზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მისი დანაკარგების აღმოფხვრა საშუალებას მოგვცემს მოხმარების რესურსები გავზარდოთ 20-30 პროცენტით, დავზოგოთ მნიშვნელოვანი სახსრები. ამავე დროს საიდუმლო არ არის, რომ გაზაფხულის დამლევსა და ზაფხულის დამდეგს ხილბოსტნეული ქრონიკულად გვაკლია. თითქოს საკმარისი რაოდენობით ხდება მათი წარმოება, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი იკარგება, უბრალოდ ლპება საწყობებში.

მოსავლის დაცვა-შენახვის პრობლემას ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის ფიზიკური ქიმიის კათედრაზე დიდი ყურადღება ეთმობა, მუშავდება ახალი ტექნოლოგიები. ძაღალითად, მთელი შენახვის მანძილზე კარტოფილის, ხახვის, ნიორის მოწეული მოსავლის საუკეთესო ხარისხის გარანტიას იძლევა ლპობის ბაქტერიების ზემოქმედებისადმი ბოსტნეულის იმუნიტეტის გაძლიერების მარტივი მეთოდი. ამისათვის საკმარისი აღმოჩნდა ლაზერის დიდტემპერატურიანი სინათლის სხივით ხილბოსტნეულის რამდენიმე წამით დასხივება.

მალე ასეთი დანადგარები ამოქმედდება საქართველოს უდიდეს ლილოს ხილ-ბოსტნეულის ბაზაში. გამომანგარიშებულია, რომ ბაზაში მოთავსებული ბოსტნეულის მხოლოდ ერთი პროცენტის დაცვა გაფუჭებისაგან ხელს შეუწყობს სულ ცოტა 100 ათასი მანეთის სასურსათო პროდუქციის რეალიზაციას. უკეთესი დაცვა-შენახვის გზით ქალაქელები მიიღებენ მრავალ ტონა კარტოფილს, ხახვს, ნიორს, რომლებსაც ჯერჯერობით ისინი ცეცხლის ფასად ყიდულობენ ბაზარში.

ლ. ᲑᲔᲠᲔᲫᲘᲐᲜᲘ,

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲝᲗᲝᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

ᲡᲙᲙᲞ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აბანაგ მ. ს. გორბაჩოვის მიერ გაკეთებული მოხსენების თითოეული სტრიქონი, თითოეული დებულება ეხება ჩვენი პარტიული ორგანიზაციის, საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ მთელი კოლექტივის ყველაზე საჭიროროტო, უმწვავეს საკითხებს. დიახ, გარდაქმნა ადვილად არ ხდება. წლის დამდეგს ჩვენს საწარმოში შემოღებული სახელმწიფო მიღების გამოცდილება ამის მშვენრმეტყველური დადასტურებაა. სასიხარულოა, რომ ამ მიმართულებით გარდაქმნის პრობლემებს საგანგებო ყურადღება დაუთმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა.

გარდაქმნა რომ საჭირო საქმეა, ამაზე დღეს, რა თქმა უნდა, ორი აზრი არ არსებობს. ისინი, ვინც ჯერ კიდევ გეშინ სკეპტიკურად ეკიდებოდნენ არასაუწყებო კონტროლის ორგანიზაციას, დღეს ორივე ხელით ხმას აძლევენ მას. ჩვენი პროდუქციის ხარისხი ხომ, თითოეულისადმი მომთხოვნელობის გაზრდის, საამქროებისა და უბნების მუშაობის სრულყოფის მეობებით, მკვეთრად უმჯობესდება. თუ პირველ კვარტალში პირველი წარდგენით პროდუქციის მხოლოდ დაახლოებით 90 პროცენტს ვიბარებდით, ახლა უკვე მივუახლოვდით სანუკვარ მიზნას. და, რაც მთავარია: საბოლოო წუნი — არის ასეთი გრაფა მაჩვენებლებში — საწარმოს უკვე აღარ ერიცხება.

სწორად აღნიშნავს მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი: სახელმწიფო მიღება საჭირო საქმეა, იგი სჭირდება მთელ საზოგადოებას, მთელ ხალხს, თითოეულ ადამიანს, და ჩვენი ქარხნის კომუნისტები, მთელი შრომითი კოლექტივი საყოველთაო სახელმწიფო მიღწევის მომხრეა.

სამუშაო კი ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრია. კეთილად, უნდა მოვაწესრიგოთ ჩვენი ურთიერთობა მომჯანსაღებებთან. ისინი ხშირად აფერხებენ პროდუქციის მოწოდებას. თუ იმ პროდუქციის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომელსაც მათგან ვიღებთ, ისინი გარდაქმნას არ ჩქარობენ, არასაუწყებო კონტროლი მათთან არ არის. აქედან გამომდინარეობს სერიოზული პრეტენზიები, მაგალითად, სტავროპოლის ქარხნისადმი, რომელიც გვაწვდის სასიგნალო არმატურას, ლუკაკს დაბალვოლტიანი არმატურის ქარხნისადმი. ყველა ეს ნაკლი გავლენას ახდენს ჩვენს მუშაობაზეც, აფერხებს მას. მაგრამ უკან დასახევი გზა არა გვაქვს. ეკონომიკის ღრმა, ძირეული გარდაქმნის საჭიროება დღეს თითოეულ ჩვენგანს აქვს შეგნებული.

თ. ᲚᲐᲨᲮᲘ,

საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ პარტკომის მდივნის მოადგილე.

ᲕᲘᲥᲝᲗ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲒᲐᲢᲝᲜ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ

(**ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ**), რომელიც გვაქვს, ხაზგასმით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, მოწმობს, რომ ტერიტორიული ორგანოების საქმიანობა, უწინარეს ყოვლისა, უნდა ითვალისწინებდეს რეგიონის კომპლექსურ განვითარებას, ადგილობრივი რესურსების — შრომითი, ბუნებრივი, საწარმოო, ეკონომიკური რესურსების ყველაზე რაციონალურ გამოყენებას.

აი უკვე რამდენიმე წელია ფოთის საქალაქო აღმასკომთან მოქმედებს ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანება. დაიმსახურა რა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებში მოწონება და მხარდაჭერა, ეს სამეურნეო-სამართლებრივი ექსპერიმენტი საიმედო ბერკეტი გახდა ქალაქის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განხორციელებაში. ახლა არ მოვყვები ყველა უპირატესობისა და სარგებლობის ჩამოთვლას, რომლებიც მთ ფოთელებს მოუტანა. დავსახელებ მხოლოდ ერთ ფაქტს: ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანების შექმნის მომენტიდან მეორეული რესურსებისა და ადგილობრივი ნედლეულის გამოყენება ქალაქში თჯერ გაიზარდა, გაორკეცდა მასობრივი მოთხოვნის საქონლის გამოშვება.

მაგრამ ჩვენთან ყველა პრობლემა როდია გადაჭრილი, ჯერჯერობით საბჭოს საქვეუწყებო ტერიტორიაზე აკეთებ ყველა პროცესს არ უწევს იგი კონტროლს. პლენუმზე აღინიშნა, რომ მართვის ტერიტორიული ასპექტისათვის ჯერჯერობით ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევიათ, აქ საჭიროა კარდინალური ღონისძიებანი. მაგალითად, ფოთის ექსპერიმენტის გამო მიღებული გადაწყვეტილებანი ყოველთვის არ არის განმტკიცებული შესაბამისი ნორმატიული აქტებით. ამ და მთელი რიგი სხვა პრობლემების დაძლევა მოგვანიჭებს მეტ დამოუკიდებლობას, საშუალებას მოგვცემს ყოველნაირად დავნერგოთ მართვის ეკონომიკური მეთოდები, „გავზარდოთ საზოგადებრივი წარმოების ეფექტიანობა, ხელს შეგვიწყობს უფრო ოპტიმალურად შევუხამოთ ერთმანეთს დარგისა და ქალაქის ინტერესები.

Ვ. ᲗᲘᲮᲝᲜᲝᲕᲘ,

ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანების უფროსი.

დეპუტატ ნ. ი. რიჟკოვის მოხსენება

(გაგრძელება)

რგოლის უფლებებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრის, მათ შორის ურთიერთმოქმედების ზუსტი ორგანიზაციის პირობებში. ყველა დონეზე საჭიროა გადავიდეთ მართვის ბრძანებით-ადმინისტრაციული მეთოდებიდან უპირატესად ეკონომიკურ მეთოდებზე. ამრიგად, მტკიცდება მუშაკებისა და შრომითი კოლექტივების ინტერესების ურთიერთმოქმედების ნამდვილად დემოკრატიული გზა.

და ბოლოს, მთელიანი სისტემა ითვალისწინებს ინტენსიური ტიპის კვლავწარმოებას, აყალიბებს მის ისეთ სტრუქტურას, რომელიც ზუსტად რეაგირებს როგორც საშინაო, ისე საგარეო ობიექტური პირობების ცვლილებებზე.

II. სსრ კავშირის კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ მეკონომიკის მართვის გარდაქმნის საფუძველია

გარდაქმნები, რომლებიც მართვის სისტემაში უნდა მოხდეს, უწინარეს ყოვლისა განხორციელდება საზოგადოებრივი წარმოების ძირითად რგოლში — საწარმოში. სწორედ აქ იქმნება და მატულობს სახალხო დოვლათი, წყდება ეკონომიკური და სოციალური ამოცანები. სწორედ აქ იყენებენ მშრომელები სოციალიზმის მიერ მინიჭებულ შრომის უფლებას, ავლენენ თავიანთ შემოქმედებითს უნარს.

ასეთი კანონის პროექტი ჩვენს ქვეყანაში პირველად შემუშავდა. ეს უაღრესად დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის დოკუმენტია. იგი საფუძველს უყრის მთელი სამეურნეო მართვის გარდაქმნას, მისი საწყისი პუნქტი ხდება.

ცენტრალური იდეა, რომლითაც გამსჭვალულია კანონის მთელი პროექტი, ის არის, რომ ახალმა სამეურნეო მექანიზმმა შექმნას შრომითი კოლექტივებისა ცხოველმოქმედების ისეთი საწარმოო და სოციალური პირობები, მათი განვითარების ისეთი სტიმულები, რომლებიც სურვილს გაუღვიძებენ საწარმოებს საერთაშორისო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებანი, გამოუშვან იგი უმცირესი დანახარჯებით. ეს არის სსრ კავშირის კანონის ლოგიკა და აზრი.

სწორედ ასეთი პოზიციებიდან არის შეტანილი კარდინალური ცვლილებები საწარმოს მართვის არსში, ფორმებსა და მეთოდებში. ყოველივე ახალი, რომელიც კანონის პროექტს შეაქვს კოლექტივის ცხოვრებაში, სტიმულების მთელი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შრომის შედეგებით მის დაინტერესებას, განუყოფლად არის დაკავშირებული სამეურნეო ანგარიშისა და თვითმმართველობის ლენინური პრინციპების თანამიმდევრულ დამკვიდრებასთან. საწარმოს საწარმოო და სოციალური განვითარება ამიერიდან პირდაპირ, მკაცრადაც კი იქნება დამოკიდებული შრომითი კოლექტივის საქმიანობის შედეგებზე, მის მიერ გამომუშავებულ სახსრებზე, მძლავრ [illegible] მისცემს ინიციატივის განვითარებას.

პრაქტიკაში ფეხს იკიდებს ახალი ეკონომიკური კატეგორია — სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავალი. იგი შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური წახალისების, წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდისა და სოციალური განვითარების ფონდის ძირითადი წყარო გახდება. ეს კი ნიშნავს, რომ მოგების ან შემოსავლის მნიშვნელოვნად გაზრდის მისწრაფებამ შრომითს კოლექტივებს უნდა გაუღვიძოს სურვილი ყაირათიანად გაუძღვნენ მეურნეობას, გაზარდონ შრომის ნაყოფიერება და გაუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, მომჭირნედ გამოიყენონ მთელი რესურსები.

სრული სამეურნეო ანგარიში უკვე მრავალი შრომითი კოლექტივის რეალური ცხოვრებაა. წლის დამდეგიდან ახალ პირობებში მუშაობენ მანქანათმშენებლობის, მსუბუქი მრეწველობის, აგრეთვე ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროების, საზღვაო ფლოტის სამინისტროს საწარმოები, მთელი რიგი სხვა დარგები.

სამეურნეო ანგარიში და თვითდაფინანსება, რომლებიც მკვეთრად ზრდიან მუშაობის შედეგებისათვის კოლექტივების პასუხისმგებლობას, გულისხმობენ საწარმოთა საქმიანობის დაგეგმვის ხასიათის ძირეულ ცვლილებებს. დრო მოითხოვს ამ პროცესის არსებითს დემოკრატიზაციას, მასში შრომითი კოლექტივების აქტიურ მონაწილეობას. პრინციპულად ახალი მოვლენა გახდა ის, რომ ისინი ახლა არა მარტო დამოუკიდებლად შეიმუშავებენ, არამედ თავადვე დაამტკიცებენ თავიანთი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიან გეგმებს, მათ ბაზაზე კი — წლიურ გეგმებს.

საზოგადოებრივი ინტერესები, ამ პროცესებზე სახელმწიფო გავლენა უნდა უზრუნველყონ ეკონომიკურმა მეთოდებმა, საკონტროლო ციფრებმა, სახელმწიფო შეკვეთებმა, გრძელვადიანმა სტაბილურმა ნორმატივებმა და ლიმიტებმა. ისინი აღრმავებენ სამეურნეო დამოუკიდებლობას და ამასთან საწარმოებს ორიენტირად უსახავენ სახალხო-სამეურნეო მიზნებს.

დაახასიათა რა დაგეგმვის თითოეული ამ ინსტრუმენტის როლი, ნ. ი. რიჟკოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საწარმოებს ახალ პირობებში მოუწევთ სერიოზულად, ნამდვილად მოჰკიდონ ხელი ბაზრის შესწავლას, მოიპოვონ მომხმარებელი, ამასთან მუდამ იცავდნენ თავიანთი პროდუქციის მაღალ ტექნიკურ დონეს და ხარისხს. უამისოდ დღეს ვერ გამოიმუშავებენ საწარმოო და სოციალური განვითარების, შრომის ანაზღაურების საჭირო სახსრებს.

ეს სამეურნეო ხელშეკრულებებს გადაეცემა გეგმის ფორმირების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად, რადგან ამ ხელშეკრულებების მეოხებით სრულდება მომხმარებლის მოთხოვნები პროდუქციის შემადგენლობის, ხასათის. ამ დიდი პოლიტიკური კამპანიის დროს, განაცხადა მომხსენებელმა, კარგი შესაძლებლობა მოგვეცა შემუშავებულ ღონისძიებათა სისწორე შეგვედარებინა მათზე მშრომელების, მთელი საზოგადოებრიობის დაინტერესებულ და ობიექტურ აზრთან. დღეს სრულიად საფუძვლიანად შეგვიძლია ვთქვათ: კანონის პროექტი საბჭოთა ადამიანებმა მოიწონეს და მოლიანად უპერულ მხარს მის პრინციპებს.

განხილვა მიმდინარეობდა ნამდვილი საჯაროობის, გულახდილი კრიტიკის ვითარებაში და მთლიანად შეესაბამებოდა გარდაქმნის ნოვატორულ სულისკვეთებას, მასში მონაწილეობდნენ მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მეცნიერები, მოსახლეობის ყველა ფენა.

განხილვის პროცესში მივიღეთ 140 ათასზე მეტი წინადადება და შენიშვნა. ყველა ისინი ყურადღებით შეგისწავლეთ, გულდასმით დავაკვირდით. საბჭოთა ადამიანები მთლიანად იზიარებდნენ და მხარს უჭერდნენ კანონის პროექტს და ამავე დროს თავიანთ წერილებსა და გამოსვლებში შეშფოთებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ საწარმოებისათვის მინიჭებული უფლებები არ დამახინჯდეს პრაქტიკაში, როგორც უკვე არაერთხელ მომხდარა წინათ, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი საამქრო იურიდიული გარანტია. საერთო აზრის გათვალისწინებით პროექტში დამატებით შევიტანეთ მუხლი „საწარმოთა (გაერთიანებათა) უფლებების დაცვის გარანტიის შესახებ“. მასში ხაზგასმულია, რომ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ყველა ორგანო პასუხს აგებს კანონის დებულებათა ზუსტად დაცვისათვის.

უმაღლესი საბჭოს ახლანდელ სესიაზე სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონის მიღებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება. იგი მრავალი ათასი კოლექტივის ცხოვრების სამართლებრივი საფუძველი და ნორმა გახდება. კანონი, უთუოდ, გამოიწვევს საბჭოთა ადამიანების შრომითი აქტიურობის ახალ აღმავლობას, ვინაიდან მისი ყოველი სტრიქონი მიზნად ისახავს მთელი ხალხის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრას, ჩვენი საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური განვითარების ყოველმხრივ დაჩქარებას.

III. დარგობრივი მართვა — თვისებრივად ახალ საფეხურზე

ეკონომიკაში ყოველგვარი გარდაქმნა სრულად შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოიცავს მართვის რგოლის მთელ კომპლექსს, და უწინარეს ყოვლისა დარგობრივ ორგანოებს —, სამინისტროებსა და უწყებებს. ეს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის მთლიანი სისტემის ჩამოყალიბებისა და ეფექტიანი მოქმედების ერთ-ერთი პრინციპული პირობაა.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო დარგობრივი სამინისტროების მუშაობის ანალიზს, დაასაბუთა დასკვნა დარგობრივი მართვის გარდაქმნის საჭიროების შესახებ. ყოველგვარი გარდაქმნის მთავარი მიმართულება, ლერძი, თქვა მან, ის არის, რომ სამინისტროების როლი, მათი დანიშნულება და ადგილი ორგანულად იყოს დაკავშირებული საწარმოთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის გაფართოებასთან. მათთან ურთიერთობაში სამინისტროები ამიერიდან მთლიანად უნდა ეყრდნობოდნენ ეკონომიკური ზემოქმედების ინსტრუმენტებს.

გამოცდილება, პრაქტიკა მოწმობს რომ დარგობრივ მართვაში ეკონომიკური მეთოდების, ახალი სამეურნეო მექანიზმის ეფექტიანი გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შევცვლით საწარმოთა ხელმძღვანელობის მოძველებულ, ჩამორჩენილ ორგანიზაციულ სტრუქტურას.

პარტიამ დასახა იმ დიდი გაერთიანებების ფორმირების გზა, რომლებსაც უნარი შესწევთ დამოუკიდებლად შეასრულონ გაფართოებული კვლავწარმოებისა და სოციალური განვითარების ამოცანები. ეს მარტო იმიტომ როდი არის საჭირო, რომ მეთაური ორგანიზაციების პოტენციალი ტექნიკური დონის საერთო აღმავლობის საფუძველი ხდება. მთავარია სხვა რამეც — მხოლოდ დიდ გაერთიანებებს შესწევთ უნარი დარგობრივი და საქართველო მეცნიერება დასავლურ წარმოებასა უზრუნველყონ მათი ორგანული შეხამება, მიიღონ მეცნიერებისაგან რეალური უკუგება. ამ მიზნით უნდა განვავითაროთ საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებანი, აგრეთვე დარგთშორის საფუძველზე გავაერთიანოთ სამრეწველო-სავაჭრო, საპროექტო-სამრეწველო, სამშენებლო, აგროსამრეწველო და სხვა გაერთიანებანი.

საბჭოთა და საზღვარგარეთის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ წარმოების შემდგომი კონცენტრაცია, სამეურნეოანგარიშებრივი ურთიერთობის სფეროს გაფართოება და გაღრმავება მოითხოვს ახალი, უფრო მობილური, მოქნილი და ამავე დროს დიდი ორგანიზაციული სტრუქტურების ძიებას. ერთ-ერთი ასეთი ახალი ფორმა განსაზღვრულია საწარმოს შესახებ კანონის პროექტში. ეს არის სახელმწიფო საწარმოო გაერთიანებანი. მათი შემადგენლობა, ორგანიზაციის ფორმები პრინციპულად განსხვავდება ჩვეულებრივი, ამჟამად მოქმედისაგან. სახელმწიფო საწარმოო გაერთიანებაში შესვლა შეუძლიათ დამოუკიდებელ საწარმოებს, გაერთიანებებს, ინსტიტუტებს სატრანსპორტო, გაყიდვების, სასწავლო და სხვა ორგანიზაციებს. ისინი ყველანი უნდა მოქმედებდნენ ერთიან სამეურნეო კომპლექსად. ამავე დროს საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო საწარმოო გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოები ინარჩუნებენ თავიანთ სამეურნეოანგარიშებრივ დამოუკიდებლობას.

მსხვილი საწარმოების შექმნის საკითხები ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა წყდებოდეს ინდივიდუალურად რეალური სიტუაციისა და კონკრეტული ამოცანების გათვალისწინებით. ყველგან და ყველფერში როდია საჭირო გიგანტები. დამოუკიდებლობის უფლება აქვთ პატარა საწარმოებსაც, მაგრამ მხოლოდ მათი ეფექტიანი მუშაობის მობილურობის, დიდი ტექნიკური აქტიურობის პირობით.

სრულყოფთ დარგობრივი მართვა — ნიშნავს შევამციროთ მასი მრავალსაფეხურიანობა. აქ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგეთ. დაიწყო შუალედური რგოლების — საკავშირო სამრეწველო გაერთიანებების გაუქმება, რომლებმაც ვერ გაამართლეს დანიშნულება. მაგრამ ჩვენ წინ უნდა ვიაროთ. წარმოების კონცენტრაციის კვალობაზე უნდა განვახორციელოთ სამინისტროებისა და უწყებების იმ მთავარი სამმართველოების თანდათანობით გაუქმების ხაზი, რომლებიც დღეს ქვედარგებს ხელმძღვანელობენ. სხვანაირად რომ ვთქვათ, დარგობრივი მართვა, როგორც წესი, უნდა გადავიყვანოთ ორგოლიან სისტემაზე.

განსაკუთრებით უნდა შევეხოთ მრეწველობის საბაზო დარგების განვითარების პრობლემებს. ზოგიერთ მათგანს დღეს ხელმძღვანელობენ საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მართვის ასეთი სქემა არ ამართლებს დანიშნულებას. შემოტანილია წინადადება, ისეთი საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები, როგორიც არის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის, ქვანახშირის მრეწველობის, შავი და ფერადი მეტალურგიის, გეოლოგიის, ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროები, სახალხო-სამეურნეო კომპლექსში მათი როლის გათვალისწინების საფუძველზე გარდაიქმნას საერთო-საკავშირო სამინისტროებად.

ამავე დროს უნდა ვეფუძნებოდეთ პრინციპს, რომ იმ წარმოებას, რომელიც უშუალოდ ემსახურება მოსახლეობას და დაკავშირებულია [illegible] ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, სოციალური ამოცანების გადაწყვეტასთან, უნდა ხელმძღვანელობდნენ, როგორც წესი, რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები. ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე წინადადებანი მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების გამსხვილების შესახებ, რომლებსაც აქვთ ერთგვაროვანი და ტექნოლოგიურად დაკავშირებული საწარმოები. ეს წინადადებანი უნდა მოვიფიქროთ და მივიღოთ ყოველმხრივ დასაბუთებული გადაწყვეტილებანი.

სამინისტროების მეცადინეობა, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, ძირითადად უნდა მოვახმაროთ დარგის განვითარების პერსპექტივების შემუშავებას, მაღალხარისხოვან პროდუქციაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, წარმოების ეფექტიანობის გადიდებას. და რა თქმა უნდა, დარგობრივი მართვის ორგანოები საწარმოს შეასახებ კანონის შესაბამისად ყოველნაირად უნდა უწყობდნენ ხელს შრომითი კოლექტივების ინიციატივისა და ფხიანობის განვითარებას. ახალ პირობებში მათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა იკისრებთ ეკონომიკური ნორმატივების დასაბუთებული განსაზღვრისათვის. დარგების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის გარდაქმნისა და ფუნქციების შეცვლის ვადები მეტად მკაცრია — მთელი მუშაობა უნდა შეასრულოთ 1987-1988 წლებში.

სერიოზული გარდაქმნები უნდა განხორციელდეს სამინისტროებისა და უწყებების ცენტრალურ აპარატშიც. უნდა გავამსხვილოთ ან გავაერთიანოთ მთი მრავალრიცხოვანი წვრილი ქვეგანყოფები და მტკიცედ დავადგეთ ცენტრალური აპარატის აშენების უპირატესად ფუნქციური პრინციპების კურსს, არსებითად შევამციროთ იგი. უნდა გავააქტიუროთ და გავზარდოთ სამინისტროებისა და უწყებების კოლეგიების როლი. ამავე დროს, გათვალისწინებულია დემოკრატიულ საფუძველზე შეიქმნას დარგების საბჭოები, რომლებშიც ფართოდ იქნებიან წარმოდგენილი წამყვანი საწარმოების დირექტორები, მოწინავე მუშები, დიდი მეცნიერები და სპეციალისტები. ეს საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ დემოკრატიზმი, გავაუმჯობესოთ მართვის ხარისხი.

ძირითად შეცვლას საჭიროებს დარგების ცენტრალური აპარატის მუშაობის სტილი და მეთოდები. საიდუმლო არ არის, რომ სამინისტროებში მრავალი დიდად ნიჭიერი წარმოების ორგანიზატორი, კომპეტენტური სპეციალისტი დაუსრულებლად ჩაფლული იყო ქაღალდებში, მათ ითრევდა ბიუროკრატიული გარემო, ხშირად უმაქნისი ხდებოდა მათი ცოდნა და გამოცდილება. ახალ პირობებში, როცა მართვაში უპირატესობა მიეცემა ეკონომიკურ მეთოდებს, იქმნება მორალური და მატერიალური წანამძღვრები, რომ დარგის ხელმძღვანელობაში ჩავიბათ ინიციატივიანი, შემოქმედებითი მუშაკები.

IV. ტერიტორიული მართვა მეურნეობრიობის ახალ პირობებში

სამეურნეო მექანიზმის რეფორმის პირობებში, თქვა შემდეგ ორატორმა, ობლდება პასუხისმგებლობა, რომელიც უნდა იკისროს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა, როგორც ტერიტორიის ნამდვილმა ბატონ-პატრონებმა. მათ უნდა ჰქონდეთ ყველა საჭირო უფლებამოსილება თავიანთ რეგიონებში მეურნეობის განვითარებისათვის.

უწინარეს ყოვლისა, პრინციპული ცვლილებანი დასახულია მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაგეგმვაში. აქ ახალი ის არის, რომ გეგმებმა უნდა შეიძინონ კომპლექსური ხასიათი, მოიცვან შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა გაერთიანება, საწარმო და ორგანიზაცია მათი საუწყებო დაქვემდებარების მიუხედავად.

ახლებურად უნდა ჩამოვაყალიბოთ ადგილობრივი ბიუჯეტი. რეგიონის ყველა საწარმო, ვისაც უნდა ექვემდებარებოდნენ ისინი, ამერიდან ვალდებულია ადგილობრივ ბიუჯეტში შეიტანოს საფასური შრომითი და ბუნებრივი რესურსების გამოყენებისათვის, აგრეთვე თავისი მოგების გარკვეული ნაწილი. და ეს სოციალური სამართლიანობის ობიექტური მოთხოვნაა, ყველა შრომითი კოლექტივი ხომ განუყოფლად დაკავშირებულია რეგიონების იმ ეკონომიკურ და სოციალურ გარემოსთან, რომელშეც ისინი ცხოვრობენ და შრომობენ. ისეთი ფინანსური ურთიერთობა, რომელიც ეკონომიკურ საფუძველს ემყარება, მეურნეობის ეფექტიანი გაძლოლის ქმედითი სტიმული ხდება.

ადგილობრივმა ორგანოებმა მთლიანად საქმით უნდა განახორციელონ თავიანთი უფლებები რეგიონების განვითარების ინტერესებისათვის. უნდა გამოვრიცხოთ შრომითი კოლექტივების საქმიანობაში ადმინისტრაციული ჩარევის ცდები, თავიდან მოვიშოროთ ჩვეულებები, რომ თვითნებურად გადავგადიდეთ მათს რესურსებს. ამავე დროს, საწარმოები, გაერთიანებანი და საკავშირო სამინისტროები საქმიანად უნდა ეხმარებოდნენ ტერიტორიულ ორგანოებს სოციალურ-საყოფაცხოვრებო და საწარმოო ინფრასტრუქტურის კომპლექსურ განვითარებაში, აქტიურად მონაწილეობდნენ საერთო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში. მაგრამ ყოველივე ეს უნდა გავაკეთოთ ახალ პირობებში მკაცრ ეკონომიკურ, სახელშეკრულებო საფუძველზე.

ტერიტორიული მართვის პრობლემების კომპლექსში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სოციალური განვითარების პრობლემებს. სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფა საერთოდ თანდათან უმჯობესდება. ქვეყანაში შექმნილია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის საჭირო პირობები. მაგრამ პრობლემების სიმწვავე ჯერჯერობით არსებობს. მართვის ადგილობრივი ორგანოებიც, აგროსამრეწველო კომპლექსის ქვეგანყოფებიც ვალდებული არიან ახალი სამეურნეო მექანიზმის ყველა ბერკეტსა და საშუალებას იყენებდნენ თავიანთი რეგიონების სასურსათო ბაზის განმტკიცება-გაფართოებისა თვის. ამისათვის უნდა ვისწავლოთ, რომ ეფექტიანად ვიყენებდეთ ახალ სტიმულებს — საერთო-საკავშირო ფონდში მიწოდების მტკიცე ოდენობას, პროდუქციის წარმოების გადიდებით მეურნეობათა გაზრდილ დაინტერესებას.

სავსებით ცხადია, რომ მართვის ტერიტორიულმა ორგანებმა უმოკლეს ვადებში სასურსათო პრობლემის გადაჭრისათვის უნდა გამოიყენონ განვითარების ყველა ფორმა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ყველა რეზერვი. ფართოდ უნდა ვიყენებდეთ პირადი საკარმიდამო ნაკვეთების, მებაღეობა-მებოსტნეობის კოოპერატივებისა და საწარმოთა დამხმარე მეურნეობის შესაძლებლობებს.

არანაკლებ მწავავე დღეს საბინაო პრობლემა. ფაქტები მოწმობს, რომ ყველა რესპუბლიკასა და ოლქში რიდი ესმით ამ საქმის მნიშვნელობა. ბევრ ადგილობრივ ორგანოს არა აქვს მოქმედების ზუსტი პროგრამა, ვერ გარკვეულა იმაში, რა წყაროების ხარჯზე და როგორი თანამიმდევრობით აშენოს ბინების მშენებლობა. ამაში გარკვევა კი საჭიროა. საბინაო მშენებლობის სახსრებს ახლა გამოყოფენ ადგილობრივი ორგანებიც, საკავშირო და რესპუბლიკური სამინისტროებიც და, ბოლოს, საწარმოები. უნდა მოვახდინოთ ადგილებზე მშენებლობის ყველა მონაწილის ძალისხმევის კოორდინაცია, რაციონალურად ავითვისოთ მთელი ფინანსური და მატერიალური რესურსები.

ამ მუშაობას სათავეში უნდა ჩაუდგეს, უდავოდ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, რომელიც მოვალეა საქმით უპასუხებდეს დღეს თავის მაღალ მოწოდებას. მან უნდა მიაპყროს ყურადღება ზოგადეკონომიკური და დარგთშორისი პროპორციებისფორმირებას, საწარმოო ძალების რაციონალურ განლაგებას, საინვესტიციო პოლიტიკისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიმართულებათა განსაზღვრას. განსაკუთრებული ზრუნვის საგანი ხდება მთელი მეურნეობის შეწონასწორებული განვითარება, ფართო სოციალური პროგრამის განხორციელება, ქვეყნის აქტიური ჩაბმა შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში, საიმედო თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა.

დაგეგმვის სრულყოფისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს გრძელვადიანი და ხუთწლიანი გეგმების მწყობრ სისტემაზე გადასვლას. ამასთან დაკავშირებით მომხსენებელი შეეხო ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 15 წლის პერიოდის კონცეფციის და ქვეყნის განვითარების ძირითადი მიმართულებების მნიშვნელობას, რომლებიც მის ბაზაზე მუშავდება 15 წლის პერსპექტივით. მათი მიზანია კონკრეტული ციფრებითა და დავალებებით შეასახან ხორცი პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიას. ძირითადი მიმართულებები შემუშავდება ხუთწლიანი პერიოდების მიხედვით, ამასთან განისაზღვრება ეკონომიკური ზრდის საფეხურები.

თვისებრივად იცვლება ხუთწლიანი გეგმის შემუშავების პროცესი. იგი იწყება ქვემოდან, საწარმოებიდან, დაგეგმვის ზოგადი ამოსავალი მონაცემების საფუძველზე. ახლა საწარმოებს, მათს შრომითს კოლექტივებს, ფართო საზოგადოებრიობას აქვთ რეალური შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საგეგმო გადაწყვეტათა შემუშავებაში. ხუთწლიანი გეგმის როლის გაძლიერებამ, მისი შეფუშავების პროცესის დემოკრატიზაციამ მოითხოვა პრინციპულად ახლებურად მივდგომოდით წლიური დაგეგმვის პრობლემას. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საჭიროდ ცნეს ახალ პირობებში, მეცამეტე ხუთწლედიან მოყოლებული, ხელი აიღონ წლიური გეგმების დამტკიცებაზე. ახლა საწარმოები ხუთწლედის ციფრების საფუძველზე დამოუკიდებლად განსაზღვრავენ თავიანთ საქმიანობას. ასეთი ცვლილებების დედაარსი ის არის, რომ ისინი შრომითს კოლექტივებს გაათავისუფლებენ მანკიერი პრაქტიკისაგან, როდესაც დაგეგმვა წარმოებს მიღწეულის, ეგრეთ წოდებული „ბაზის“ საფუძველზე.

როგორც მოხსენებაში აღინიშნა, სხვაგვარად გადაწყდება კაპიტალური დაბანდების მოცულობის განაწილება, ცენტრალიზებულ და არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა შორის ოპტიმალური თანაფარდობის დაწესების ამოცანა. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი უნდა დაეუფლოს ნატურალურ-ნივთობრივი პროპორციების მართვის ახალ მეთოდებს. მისი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა ჩამოაყალიბოს სახელმწიფო შეკვეთის შემადგენლობა, ამასთან იხელმძღვანელოს ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული ამოცანებით.

ჩვენი გეგმების სოციალური მიზანმიმართულების მკვეთრი გაძლიერების გამო სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დიდმნიშვნელოვანი ფუნქცია ხდება პროორიტეტების სწორი განსაზღვრა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა უარვყოთ ამ სფეროს დაგეგმვისა და განვითარებისათვის ნაირჩენების გამოყოფის მეთოდი, განაცხადა ნ. ი. რიჟკოვმა.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო მეურნეობრიობის ყველა დონეზე გეგმების შეწონასწორების პრობლემას და თქვა, რომ თანამედროვე პირობებში შეწონასწორების უზრუნველყოფის მთავარი გზაა რესურსების დაზოგვა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მოვალეა თვისებრივად ახალ დონეზე აიყვანოს მთელი სანალანსო მუშაობა, არსებითად გააძლიეროს მისი როლი. იმისათვის, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სრულად გაართვას თავი დაკისრებულ ამოცანებს, საჭიროა ძირეულად გარდაქმნას საქმიანობა, გადაჭრით გაუმჯობესოს მუშაობის სტილი და მეთოდები. და, რაღა თქმა უნდა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნქცია ხდება ნიადაგ სრულყოს სამეურნეო მექანიზმი, ეკონომიკის გეგმიანი მართვის მთელი სისტემა.

სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გარდაქმნის წარმატება უშუალოდ არის დამოკიდებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ეფექტიან მართვაზე. უაღრესად საჭიროა მკვეთრად გაუმჯობესდეს მთელი ამ პროცესის ხელმძღვანელობა. აქ, როგორც სხვაგან არსად, დაუშვებელია სანახევრო ღონისძიებები და კერძო გადაწყვეტილებანი, საჭიროა კომპლექსური, ყოვლისმომცველი მიდგომა.

